MES 6 22 0000133550

11/02/2022

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

1. **თამარ მამსიკაშვილი** - სსიპ - ქალაქ თბილისის N221 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
2. **დავით მალაზონია** - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ქეთევან ბოტკოველი** - სსიპ - ქალაქ თბილისის N195 საჯარო სკოლის პედაგოგი, ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი, საბჭოს მდივანი;
4. **გიორგი გიგიბერია** - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;
5. **ქეთევან ნატროშვილი** - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;
6. **პერტე ბაბილუა** - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი, საბჭოს წევრი;
7. **ლიანა კობესაშვილი** - შპს „ინტელექტი XXI - ის“ მასწავლებელი, ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი, საბჭოს წევრი;
8. **მაკა მამფორია** - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
9. **ეკატერინე კვირიკაშვილი** - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ძველი თბილისის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
10. **ზვიად გოგუაძე** - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
11. **ია აფთარაშვილი** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის კვლევების კოორდინატორი, საბჭოს წევრი;

12. **ზაქარია ქიტიაშვილი** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნინო ჟვანია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
თამარ შენგელია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
მზია ყანჩელი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
საბა ელაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს ახალი ქართულ-ევროპული სკოლა
ლალი გარდაფხაძე - სკოლის დირექტორი
თამარ გარდაფხაძე - სკოლის იურისტი

შპს გიმნაზია 21-ე საუკუნე
ელენე კალანდაძე - სკოლის იურისტი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):

შპს ახალი ქართულ-ევროპული სკოლა
ნოდარ ანგურიძე
ეკატერინე ვეკუა

შპს გიმნაზია 21-ე საუკუნე
ხათუნა ბარაბაძე
მიხეილ ტეფნაძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) 17-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, თამარ მამსიკაშვილი. ახალი კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა 2022 წლის 7 თებერვალს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 15:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 17-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის გამოქვეყნებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 20-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. შპს ახალ ქართულ-ევროპულ სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. შპს გიმნაზია 21-ე საუკუნეში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი და შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1. შპს ახალ ქართულ-ევროპულ სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ნოდარ ანგურიძემ და ეკატერინე ვეკუამ. მათ აღწერეს შეფასების შედეგები და ძირითადი მიგნებები სტანდარტების შესაბამისად. ექსპერტ, ნოდარ ანგურიძის თქმით, ვიზიტის დროს შემოწმდა სკოლის მატერიალური რესურსების შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტთან. ექსპერტის განცხადებით სკოლამ შეიცვალა სახელწოდება და მისამართი. მას ერქვა შპს „ზენიტი“, ხოლო მანამდე შპს „ხიხანი“ და მდებარეობდა ქ. თბილისში, გურამიშვილის გამზირზე. ექსპერტმა დამატებით აღნიშნა, რომ სკოლას ჰყავდა ახალი მმართველი და ადმინისტრაციის ახალი წევრები, თუმცა ინტერვიუებიდან გაირკვა, რომ მასწავლებელთა დიდი ნაწილი სწორედ ძველი სკოლიდან გადმოჰყვა. ექსპერტის თქმით, სკოლა მდებარეობდა სოფელ დიღომში, ილია შეყლაშვილის ქუჩაზე. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლის შენობა აკმაყოფილებდა სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს და მათი მხრიდან არ ყოფილა ხარვეზი აღმოჩენილი, თუმცა გაიცა რამდენიმე რეკომენდაცია. კერძოდ, რადგან სკოლა შენობის სხვენს იყენებდა სპორტულ დარბაზად, სადაც მხოლოდ მსუბუქი სპორტული აქტივობებით იყვნენ დაკავებული მოსწავლეები, სკოლას მიეცა რეკომენდაცია მოეძებნა სხვა საშუალება დანარჩენი სპორტის სახეობების განსახორციელებლად. ექსპერტის თქმით, აღნიშნული სკოლამ გაითვალისწინა და გააფორმა მემორანდუმი სპორტულ კლუბთან. ასევე, ექსპერტმა აღნიშნა, რომ შენობაში სველი წერტილი იყო პირველ და მესამე (სხვენის) სართულზე, ხოლო მეორე სართულზე არ იყო. შესაბამისად ექსპერტების მიერ გაიცა რეკომენდაცია სველი წერტილის დამატების თაობაზე. გარდა ამისა, რეკომენდაცია გაიცა ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის დამუშავებასთან დაკავშირებით, რადგან სკოლის ბიბლიოთეკაში აღმოჩნდა შპს „ლამპარისა“ და შპს „ზენიტის“ წიგნებიც.

ექსპერტმა, ეკატერინე ვეკუამ დასძინა, რომ სკოლამ რეკომენდაციების ნაწილი უკვე შეასრულა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა სკოლის წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

სკოლის იურისტმა, თამარ გარდაფხაძემ ხაზი გაუსვა ექსპერტების საქმიანობისა და თანამშრომლობის მაღალ ხარისხს. მან ისაუბრა შპს კლუბ „საბურთალო-დიდი დიღომთან“ გაფორმებულ ხელშეკრულებაზე, რომლითაც სარგებლობდნენ სკოლის მოსწავლეები. მან

აღნიშნა, რომ სკოლის ფართი იძლეოდა ეზოს ტერიტორიაზე სპორტული მოედნის აშენების საშუალებას, შესაბამისად სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში 11 იანვარს შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც იგეგმებოდა სკოლის სპორტული მოედნის მშენებლობა. თამარ გარდაფხაძემ ისაუბრა ასევე, სკოლის სველი წერტილების შესახებ. მისი თქმით, სკოლის პირველ სართულზე განთავსებული იყო სამი სველი წერტილი გოგონებისთვის, ხოლო სამი ვაჟებისთვის, ხოლო მესამე სართულზე გამოყოფილი იყო ორი სველი წერტილი სკოლის თანამშრომლებისთვის. თამარ გარდაფხაძემ აღნიშნა, რომ ერთწლიანი სამოქმედო გეგმით ასევე გათვალისწინებული ჰქონდა სკოლას მეორე სართულზე სველი წერტილების დამატება. რაც შეეხებოდა ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის დამუშავებას, სკოლის იურისტმა განმარტა, რომ წიგნები, რომელთა დათვალიერებაც მოხდა ექსპერტთა მხრიდან, სკოლას ახალი შეძენილი ჰქონდა და ჯერ არ იყო სკოლის საინვენტარიზაციო წიგნში გატარებული. სკოლამ დაამატა, რომ აღნიშნული ხარვეზი გამოსწორებული იყო.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები ხომ არ ჰქონდათ.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა მიმართა კითხვით ექსპერტ ნოდარ ანგურიძეს, აკმაყოფილებდა თუ არა სკოლა სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს სამედიცინო აღჭურვილობასთან დაკავშირებით.

ექსპერტ, ნოდარ ანგურიძის განმარტებით, ვიზიტის დროს დეტალურად მოხდა ვიზუალური დათვალიერება და ინვენტარი სრულად აკმაყოფილებდა არსებულ მოთხოვნებს. ეკატერინე კვირიკაშვილმა დააზუსტა, მიუხედავად იმისა, რომ სკოლას არ ჰყავდა შშმ პირი, ჰქონდა თუ არა ადაპტირებული სველი წერტილი, რაზეც ნოდარ ანგურიძემ აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა ადაპტირებული სველი წერტილი. ეკატერინე კვირიკაშვილმა ასევე კითხვით მიმართა ნოდარ ანგურიძეს, თუ სკოლას მატერიალური რესურსის შემოწმებისას არ დაუდგინდა ხარვეზი, რა მიზანს ემსახურებოდა გაცემული რეკომენდაციები, რაზეც ნოდარ ანგურიძემ უპასუხა, რომ აღნიშნული რეკომენდაციები ატარებდა რჩევის შინაარს.

საბჭოს წევრმა, დავით მალაზონიამ კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს, თუ რა ცვლილებები განახორციელა სკოლამ, კერძოდ, სკოლა სრულიად ახალი სკოლა იყო, თუ შპს „ზენიტის“ მოსწავლეთა ბაზაზე შექმნილი. აქვე, საბჭოს წევრებმა, მაკა მამფორიამ და გიორგი გიგიბერიამ იკითხეს, თუ რატომ დაერქვა სკოლას „ახალი ქართულ-ევროპული სკოლა“, რაზეც სკოლის იურისტმა, თამარ გარდაფხაძემ უპასუხა, რომ სკოლა ტერიტორიულად დაფუძნდა შპს „ლამპარის“ მეორე კორპუსში, რომელმაც შეითავსა შპს „ზენიტის“ ერთ-ერთი კორპუსის მოსწავლეთა ბაზა, რადგან აღნიშნული სკოლა ვერ აკმაყოფილებდა სტანდარტით გათვალისწინებულ მატერიალურ რესურსს. მან დაამატა, რომ ახალი ქართულ-ევროპული სკოლის დამფუძნებელი იყო შპს „ლამპარის“ ერთ-ერთი თანადამფუძნებელი, შესაბამისად, სკოლამ შეიცვალა სახელი, ადგილმდებარეობა და დამფუძნებელი. რაც შეეხება სახელს, სკოლის იურისტმა, თამარ გარდაფხაძემ აღნიშნა, რომ თავად იყო „ახალი უნივერსიტეტის“ დამფუძნებელი და სურდათ კავშირი ყოფილიყო სკოლასა და უნივერსიტეტს შორის, რაც გახდა სახელის არჩევის საფუძველი. გარდა ამისა, მან დაამატა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის თვალსაზრისით სკოლას აქტიური თანამშრომლობა ჰქონდა იტალიის ერთ-ერთ სკოლასთან. მათთან გაფორმებული ჰქონდა სკოლას მემორანდუმი, რის საფუძველზეც ივლისისა და აგვისტოს თვეებში მოეწყო გაცვლითი პროგრამა, სადაც სკოლის ოცმა მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა.

საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ მამსიკაშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტ, ნოდარ ანგურიძეს რა მდგომარეობაში იყო სკოლის შენობა. რაზეც ნოდარ ანგურიძემ უპასუხა, რომ შენობა ექსპლუატაციაში მიღებული იყო და ასახული იყო შესაბამისი ინფორმაცია საჯარო რეესტრშიც. საბჭოს თავმჯდომარემ სკოლის წარმომადგენელს კითხვით მიმართა, სამოქმედო გეგმით

გათვალისწინებული სპორტული მოედნის აშენებას კონკრეტულად როდის აპირებდნენ და რამდენად იყო დაცული მოსწავლეთა ტრანსპორტირებისას უსაფრთხოების ნორმები. სკოლის იურისტის, თამარ გარდაფხაძის განცხადებით, სპორტული გაკვეთილები ტარდებოდა სკოლაში, კერძოდ, სკოლას სასწავლო გეგმით არჩეული ჰქონდა ჭადრაკი, მაგიდის ჩოგბურთი და თანამედროვე ცეკვები, რომელთა სრულყოფილად ჩატარებასაც სკოლა უზრუნველყოფდა ადგილზევე, რისთვისაც სკოლას ჰქონდა შესაბამისი მატერიალური აღჭურვილობა. მემორანდუმის საფუძველზე კი, მოსწავლეებს ჰქონდათ შესაძლებლობა დამატებითი სპორტული გაკვეთილების ჩატარების. აღნიშნული სპორტული მოედანი მდებარეობდა სკოლიდან დაახლოებით 600 მეტრის მანძილზე, სადაც მშობლების ნაწილს თავად დაყავდათ მოსწავლეები კვირაში ორი დღე. თამარ გარდაფხაძემ ასევე დაამატა, რომ სასწავლო წლის მეორე ნაწილში იგეგმებოდა სკოლის ეზოში სპორტული მოედნის მშენებლობა.

საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება 15:55 საათზე.
საბჭოს სხდომა განახლდა 16:15 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები, ხომ არ ჰქონდათ. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ და საბჭოს წევრებმა იმსჯელეს და მიიჩნიეს, რომ შპს ახალი ქართულ-ევროპული სკოლა აკმაყოფილებდა მატერიალური რესურსების სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ახალი ქართულ-ევროპული სკოლის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს ახალ ქართულ-ევროპული სკოლის (ს/კ: 402047771) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრმა, პერტე ბაბილუამ დატოვა 16:20 საათზე საბჭოს სხდომა.

2. შპს გიმნაზია 21-ე საუკუნეში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა

დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს სხდომაზე წარმოდგენილ იქნა სკოლის იურისტის, ელენე კალანდაძის სახელზე მინდობლობა, რომელიც ანიჭებდა მას საბჭოს სხდომაზე სკოლის პოზიციის წარმოდგენის უფლებამოსილებას.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ხათუნა ბარაბაძემ და მიხეილ ტეფნაძემ. ექსპერტ, ხათუნა ბარაბაძის განცხადებით, ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 13 დეკემბრის ბრძანების საფუძველზე 2021 წლის 15 დეკემბერს განხორციელდა შპს გიმნაზია 21-ე საუკუნეში მონიტორინგის ვიზიტი. მან აღნიშნა, რომ მონიტორინგის საფუძველს წარმოადგენდა სკოლის მოსწავლეების უფლებებისა და ავტორიზაციის სტანდარტების სავარაუდო დარღვევის ფაქტები. კერძოდ, სკოლის მე-10 კლასის მოსწავლის დ.კ.-ს მიმართ სავარაუდო ძალადობის ფაქტთან დაკავშირებული საკითხის მოკვლევა და შპს გიმნაზია 21-ე საუკუნეში მოსწავლე დ.ვ.-ს ჩარიცხვაზე უარის თქმასთან დაკავშირებული ფაქტი. ექსპერტის თქმით, სკოლა მდებარეობდა ქ. ბათუმში, პუშნიკის N160-ში და იყო ორ სექტორიანი. სკოლაში სულ ირიცხებოდა 397 მოსწავლე, საიდანაც 342 მოსწავლე სწავლობდა რუსულ სექტორზე, ხოლო ქართულ სექტორზე იყო 55 მოსწავლე.
ექსპერტმა, ხათუნა ბარაბაძემ განმარტა, რომ სკოლას შემუშავებული ჰქონდა სკოლის წესდება, შინაგანაწესი, გადაწყვეტილების და საქმიანობის ამსახველი პროცედურების დოკუმენტაციები, თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ მათ შინაარსობრივ მხარეში დაფიქსირდა ხარვეზი, სკოლას მიეცა სავალდებულოდ შესასრულებელი რეკომენდაციები და რჩევები. ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა სკოლის შინაგანაწესზე, რომელიც არეგულირებდა სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის საკითხს. მისი განმარტებით, მოსწავლე დ.ვ. იყო რუსეთის მოქალაქე, შესაბამისად მას შემდეგ, რაც მშობელმა სკოლას მიმართა მოსწავლის ჩარიცხვასთან დაკავშირებით, სკოლამ მშობელი მიმართვით გააგზავნა ცენტრში მოსწავლის მიერ მიღებული განათლების აღიარების მიზნით. მან ასევე, დაამატა, რომ განათლების აღიარების პროცესში მოსწავლეს ჰქონდა საგაკვეთილო პროცესზე დასწრების უფლება სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ბრძანების საფუძველზე, ხოლო სკოლის შინაგანაწესის 34-ე მუხლის მიხედვით, სკოლას ჰქონდა უფლება მოსწავლისთვის უარი ეთქვა ჩარიცხვაზე, თუ აღიარების პროცესში მოსწავლე ვერ მოახდენდა ადაპტაციას აღნიშნულ სკოლაში. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სწორედ ეს არგუმენტი იქნა წარმოდგენილი სკოლის მხრიდან მოსწავლისთვის ჩარიცხვაზე უარის თქმის საფუძვლად. ექსპერტმა გამოკვეთა რამდენიმე ფაქტი, რომელიც მისი აზრით იყო დარღვევა, კერძოდ, მოსწავლეს უარი ეთქვა ჩარიცხვაზე 2021 წლის 2 ნოემბერს სკოლაში მომხარი ინციდენტის შედეგად, ხოლო ცენტრისგან აღიარება სკოლამ მიიღო 2021 წლის 29 ნოემბერს. აგრეთვე, მოსწავლე დ.ვ. საგაკვეთილო პროცესს ესწრებოდა არა დირექტორის ინდივიდუალური ბრძანების საფუძველზე, არამედ მხოლოდ მშობლის განცხადების საფუძველზე. ექსპერტმა აღნიშნა, რომ 2 ნოემბრის ინციდენტში მონაწილეობდნენ დ.ქ., ე.ლ. და დ.ბ., რომელიც დასრულდა დ.ბ.-ს თავის დაზიანებით. აღნიშნული ფაქტი მოხდა დასვენებაზე, რა დროსაც კოვიდ ვირუსის გამო სკოლაში არ იმყოფებოდა კლასის დამრიგებელი და სკოლის მხრიდან არ დაინიშნა დამრიგებლის მოვალეობის შემსრულებელი. ექსპერტმა დაამატა, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით სკოლას მიეცა რეკომენდაცია. ასევე, ექსპერტის თქმით რეკომენდაცია გაიცა სკოლაში დისციპლინური სახდელის მექანიზმის შემუშავებასთან და სკოლის უსაფრთხოების მენეჯერის უფლება-მოვალეობების ჯეროვნად შესრულებასთან დაკავშირებით. ექსპერტმა, ხათუნა ბარბაძემ აღნიშნა, რომ ინტერვიუს დროს სკოლის ფსიქოლოგთან გასაუბრებისას გამოიკვეთა ფაქტი, რომ მას სკოლის მასწავლებლებთან ჩატარებული ჰქონდა ტრენინგები ბულინგზე, თუმცა კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით არ ჰქონდა რეაგირების

სამოქმედო გეგმა. ექსპერტის თქმით, მეორე ინციდენტი შეეხებოდა მოსწავლე დ.ქ.-ს, რომლის მიმართაც განხორციელდა შეურაცხმყოფელი ქმედება, რომელიც თანაკლასელებმა გადაიღეს. ექსპერტის განმარტებით, სკოლის მხრიდან არ დაწყებული დისციპლინური წარმოება და სკოლა შემოიფარგლა მხოლოდ დიალოგით. აღნიშნულ ფაქტზე მშობელმა მიმართა სამართალდამცავ ორგანოს და დაიწყო გამოძიება. მან დაამატა, რომ სკოლა ვერ უზრუნველყოფდა უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნასა და სკოლაში არ მიმდინარებდა მოსწავლეთა ჰარმონიულ განვითარებაზე ზრუნვა.

ექსპერტმა, მიხეილ ტეფნაძემ აღნიშნა, რომ სტანდარტით გათვალისწინებული პირობების შემოწმებისას დადგინდა, რომ უმეტეს შემთხვევაში მოსწავლეები იყვნენ პასიური მოსწავლელები და ნაკლებად ხდებოდა მათი ქცევის გააზრება. ასევე, მასწავლებლები მხოლოდ კითხვა-პასუხის ფორმატით შემოიფარგლებოდნენ. ექსპერტმა დაამატა, რომ სკოლის გრძელვადიან სამოქმედო გეგმაში არ აღინიშნებოდა მსგავსი შემთხვევების პრევენციის აქტივობები. მიხეილ ტეფნაძემ აღნიშნა, რომ ექსპერტების ერთ-ერთი რეკომენდაცია იყო ინტერაქტიული რეჟიმით და არაფორმალური განათლების ელემენტებით სკოლას მოსწავლეებში დაემკვიდრებინა ძალადობის გააზრების საშუალება.

ექსპერტმა, ხათუნა ბარაბაძემ დაამატა, რომ სკოლაში იყო მხოლოდ რუსულენოვანი ფსიქოლოგი და მიუხედავად იმისა, რომ ქართულ სექტორზე მხოლოდ 55 მოსწავლე ირიცხებოდა, სკოლას მიეცა ქართულენოვანი ფსიქოლოგის აყვანის რეკომენდაცია.

ექსპერტმა, მიხეილ ტეფნაძემ დაამატა, რომ მშობლის წერილში საუბარი იყო ძალადობის მრავალჯერად ფაქტებზე. მან ასევე აღნიშნა, რომ კლასის დამრიგებელი გამოკვეთდა მოსწავლის განსხვავებული ჩაცმისა და ქცევის სტილს.

საბჭოს წევრებმა, ქეთევან ბოტკოველმა და ზვიად გოგუაძემ კითხვით მიმართეს ექსპერტებს, თუ მოხდა კონკრეტულ მოსწავლესთან ინტერვიუს ფორმატში გასაუბრება, რაზეც ექსპერტებმა უპასუხეს, რომ ამის საჭიროება აღარ იყო.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტ ხათუნა ბარაბაძეს, თუ როდის დაწერა მოსწავლე დ.ვ.-ს მშობელმა განცხადება და რას ითხოვდა მშობელი ამ განცხადებით. რაზეც ხათუნა ბარაბაძემ უპასუხა, რომ მშობელმა განცხადება დაწერა აპრილ/მაისის თვეში, რომლითაც ითხოვდა სკოლაში მიღებას, ხოლო ცენტრს აღიარებისთვის მიმართა სექტემბრის თვეში. ეკატერინე კვირიკაშვილმა, ასევე, ჰკითხა ექსპერტს, თუ რა ადგილი ჰქონდა სკოლის სტრუქტურაში სკოლის იურისტს, რაზეც ხათუნა ბარაბაძემ უპასუხა, რომ ის იყო სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა სკოლის წარმომადგენელს დაეფიქსირებინა საკუთარი პოზიცია.

სკოლის იურისტმა, ელენე კალანდაძემ აღნიშნა, რომ სკოლა 2022 წელს გადიოდა რეავტორიზაციის პროცესს და შესაბამისად ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაციები მეტად ღირებული და სასარგებლო იყო სკოლისთვის, რაც გათვალისწინებული იქნა სკოლის მიერ.

საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ კითხვებით მიმართა სკოლის იურისტს, კერძოდ, თუ ჰქონდათ სკოლაში დისციპლინური დევნის ზოგადი სტატისტიკა. ასევე, გახმაურებულ ინციდენტამდე

თუ ყოფილა მოსწავლის მხრიდან სკოლის ადმინისტრაციისადმი მიმართვის შემთხევა სავარაუდო ბულინგის ფაქტის გამო და რუსულ ენოვანი ფსიქოლოგის მუშაობა რამდენად შედეგიანი იყო ქართულენოვანი მოსწავლეებისთვის.

სკოლის იურისტის, ელენე კალანდაძის განცხადებით, სკოლას დისციპლინური დევნის გამოცდილება ჰქონდა, თუმცა ამ კონკრეტულ შემთხვევაში არ გამოუყენებია აღნიშნული. სკოლის იურისტმა ასევე აღნიშნა, რომ მოსწავლის მშობელს სამართალდამცავ ორგანოში მიმართვამდე ჰქონდა სკოლასთან აღნიშნულ ფაქტზე კომუნიკაცია. რაც შეეხებოდა ფსიქოლოგს, სკოლის იურისტმა დაამატა, რომ ქართულ სექტორზე მყოფ მოსწავლეებს არ უჭირდათ რუსულენოვან ფსიქოლოგთან კომუნიკაცია, თუმცა, ასევე იყენებდნენ ნათარგმნ კითხვარებსაც საკომუნიკაციოდ. სკოლის იურისტმა ასევე დაამატა, რომ სკოლა გაითვალისწინებდა ექსპერტების რეკომენდაციას და იფიქრებდა ქართულენოვანი ფსიქოლოგის აყვანაზე.

საბჭოს წევრმა, ქეთევან ბოტკოველმა კითხვით მიმართა სკოლის იურისტს, იყო თუ არა აღიშნული ძალადობის შემთხვევა ერთჯერადი, თუ მსგავსი შემთხვევები მანამდეც აღინიშნებოდა. სკოლის იურისტმა განაცხადა, რომ მოსწავლე სკოლაში გადმოვიდა ორი წლის წინ, რისი მიზეზიც იყო შეფასებასთან დაკავშირებული კონფლიქტი მასწავლებელთან. სკოლაში მომხდარ ინციდენტში მონაწილე თანაკლასელები კი აღნიშნული მოსწავლის დიდი ხნის მეგობრები იყვნენ და მსგავსი სახის დაპირისპირებები მათ შორის არ ყოფილა. ელენე კალანდაძემ დაამატა, რომ სკოლამ ინციდენტში მონაწილე ყველა მხარესთან კომუნიკაციის მეთოდს მიმართა და გაესაუბრა მოსწავლეებსა და მათ მშობლებს.

საბჭოს წევრმა, მაკა მამფორიამ კითხვით მიმართა სკოლის იურისტს, გაწერა თუ არა სკოლამ პრევენციისთვის ღონისძიებები, რაზეც ელენე კალანდაძემ უპასუხა, რომ დაიგეგმა სხვადასხვა პროექტები ძალადობის აღმოფხვრის მიმართულებით.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა კითხვით მიმართა სკოლის იურისტს მოსწავლე დ.ვ.-სთან დაკავშირებით, რამდენად სამართლიანად მოექცა სკოლა მას და ხომ არ იყო დისკრიმინაციული დამოკიდებულება სკოლის მხრიდან. რაზეც ელენე კალანდაძემ უპასუხა, რომ აღნიშნულ შემთხვევაში დაირღვა კონკრეტული მოსწავლის განათლების მიღების უფლება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები, ხომ არ ჰქონდათ. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს გიმნაზია 21-ე საუკუნის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 9
წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილებას მხარი არ დაუჭირეს შემდეგმა საბჭოს წევრებმა: ეკატერინე კვირიკაშვილი, ზვიად გოგუაძე.

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს გიმნაზია 21-ე საუკუნის (ს/კ.: 245433865) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარის, თამარ მამსიკაშვილის განცხადებით, საბჭოს წევრებმა გაითვალისწინეს ის გარემოება, რომ მიმდინარე წელს სკოლას უწევდა რეავტორიზაცია და სკოლას უნდა მისცემოდა შესაძლებლობა გამოესწორებინა დაფიქსირებული დარღვევები და გაეთვალისწინებინა ექსპერტთა რეკომენდაციები მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესების დასაცავად.

საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ განმარტა, რომ სკოლის სამართლებრივი მექანიზმები იყო მხოლოდ დოკუმენტაციის დონეზე გაწერილი, ხოლო შინაარსის თვალსაზრისით, მისი შეფასებით, სკოლას არ გამოუვლენია მზაობა გაეთვალისწინებინა მოსწავლის ინტერესები.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა განმარტა, რომ სკოლის მხრიდან იკვეთებოდა მოსწავლის მიმართ დისკრიმინაციული დამოკიდებულება.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა 17:20 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მამსიკაშვილი თამარი

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი / ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბოტკოველი ქეთევან